სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№9 (387) ნოემბერი, 2025 წელი

სამედიცინო განათლების საერთაშორისო კონფერენცია

სამედიცინო განათლების ყველაზე მასშტაბურ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც თსსუ-ში მიმდინარეობდა ათი ქვეყნისა და ოცდაერთი ინსტიტუციის 300-მდე წარმომადგენლის მონაწილეობით, პლენარული სხდომები, ინტერაქტიული და თემატური პანელები, მცირე ჯგუფური სამუშაო სესიები, მოკლე ზეპირი მოხსენებები და სტუდენტური პოსტერული პრეზენტაციები იყო წარმოდგენილი.

კონფერენციას მაღალი შეფასება მისცეს: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, გივი მიქანაძემ; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, მიხეილ სარჯველაძემ; ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) პრეზიდენტმა, პროფესორმა ჰარმ პეტერსმა; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანის მოადგილემ, პროფესორმა გორდონ ჩერჩვორდმა და სხვა სტუმრებმა.

გვ 3

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი 90 წლისაა. თითქმის საუკუნოვანი ისტორია სერიოზულ კვალს ტოვებს საქართველოს სამედიცინო სფეროს განვითარების საქმეში.

გვ 5

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია – „გადაუდებელი მედიცინისა და ინტენსიური თერაპიის თანამედროვე საკითხები“.

ორდღიანი კონფერენცია მოიცავდა სამ თემატურ სესიას, პრაქტიკულ მასტერკლასებს და პანელურ დისკუსიებს. შეხვედრაზე განიხილეს კრიტიკული მედიცინის მიმართულებები: სეფსისი, რესპირაციული უკმარისობის მართვა, თანამედროვე მონიტორინგის ტექნოლოგიები და ინოვაციური თერაპიული მიდგომები.

გვ 2

თსსუ-ს საერთაშორისო პარტნიორთა ქსელს ახალი უნივერსიტეტები შეემატა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საერთაშორისო პარტნიორობას აფართოებს. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის განვითარების ფარგლებში, რაც თსსუ-ისთვის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, პარტნიორი უნივერსიტეტების არსებულ ფართო ქსელს ევროპისა და აზიის ახალი, წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუციები შეემატა.

ახალი შეთანხმებები უზრუნველყოფს დამატებით შესაძლებლობებს თსსუ-ის სტუდენტებისთვის, რეზიდენტებისთვის, დოქტორანტებისთვის, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის - საერთაშორისო მობილობის, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული განვითარების და კვლევითი ინიციატივების მიმართულებით.

თსსუ-ის ახალი პარტნიორები:

ბელგია

გენტის უნივერსიტეტი – მედიცინისა და ჯანდაცვის მეცნიერებების ფაკულტეტი

ჩეხეთი

ოსტრავას უნივერსიტეტი-მედიცინის ფაკულტეტი

საფრანგეთი

ტულუზას უნივერსიტეტი
პარიზის ვალ-დე-მარნის უნივერსიტეტი

ესპანეთი

სევილიის უნივერსიტეტი
მიგელ ერნანდესის სახელობის ელჩეს უნივერსიტეტი
სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი

გერმანია

დასავლეთ საქსონიის ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი
მაგდებურგის ოტო ფონ გერიკეს უნივერსიტეტი

უნგრეთი

პეშის უნივერსიტეტი

ინდოეთი

კარპაგამის უმაღლესი განათლების აკადემია
ნოიდას საერთაშორისო უნივერსიტეტი

იტალია

ტრიესტეს უნივერსიტეტი
მოლიზეს უნივერსიტეტი
რომის „ტორ ვერგატას" უნივერსიტეტი
ფლორენციის უნივერსიტეტი
ლაკვილას უნივერსიტეტი
რომის საპიენცას უნივერსიტეტი
პადოვას უნივერსიტეტი
ბიკოკის უნივერსიტეტი

პოლონეთი

ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი

რუმინეთი

კონსტანტა, ოვიდიუსის უნივერსიტეტი
იაშის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი
სიბიუს ლუჩიან ბლაგას სახელობის უნივერსიტეტი
ჯორჯ ემილ პალადის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (ტირგუ მურეში)
კრაიოვას მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი

თურქეთი

ჩურუკოვას უნივერსიტეტი
უსკუდარის უნივერსიტეტი
ბაშკენტის უნივერსიტეტი
გაზიანთეფის უნივერსიტეტი
თინაზთეფეს უნივერსიტეტი
დიჯლეს უნივერსიტეტი
ეგეს უნივერსიტეტი
იედიტეპეს უნივერსიტეტი

ბულგარეთი

პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი

უზბეკეთი

ტაშკენტის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ესტონეთი

ტარტუს უნივერსიტეტი

ლიეტუვა

კაუნასის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემიის ახალი laureatebi

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ყოველწლიურად აღნიშნავს „იუნესკოს" მიერ დაარსებულ მეცნიერების საერთაშორისო დღეს. ამ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიები გადაეცა მეცნიერების სხვადასხვა დარგში წარმატებულ 40-ზე მეტ მეცნიერს, მათ შორის, თსსუ-ის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ **ირინე კვაჭაძეს** შრომათა ციკლისა (ნოციცეპტური და ანტინოციცეპტური მექანიზმების ფსიქოფიზიოლოგიური, მეტაბოლური და ჰუმორული კორელატები ადამიანის ორგანიზმში) და ფუნდამენტური ქართულენოვანი სახელმძღვანელოსთვის „ადამიანის ფიზიოლოგია" მიენიჭა ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია, ხოლო თსსუ-ის მედიცინის ისტორიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი **ნანა ხელაია**, ნაშრომთა ციკლისთვის „ქართული სამედიცინო ხელნაწერების მოძიება და შესწავლა-კატალოგიზება" ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს მათ ამ დიდ აღიარებას.

მეცნიერების დღე თსსუ-ში: ლექცია თემაზე – „ხელოვნური ინტელექტი მედიცინაში"

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, მეცნიერების დღის ფარგლებში, გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე – „ხელოვნური ინტელექტი მედიცინაში", რომელიც წაიკითხა თსსუ-ის პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა.

ლექცია განკუთვნილი იყო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის და მიზნად ისახავდა თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გაცნობას, განსაკუთრებით – ხელოვნური ინტელექტის როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენას სამედიცინო სფეროში.

პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა ისაუბრა იმ მიმართულებებზე, სადაც ხელოვნური ინტელექტი უკვე წარმატებით გამოიყენება როგორც სამეცნიერო კვლევებში, ისე პრაქტიკულ მედიცინაში. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იმ ინოვაციურ პროექტებზე და დეპარტამენტებში დანერგილ ტექნოლოგიურ სიახლეებზე, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის, დიაგნოსტირებისა და მკურნალობის პროცესების გაუმჯობესებას.

ლექციის ფარგლებში განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება დაავადებების მართვაში, ინოვაციური ალგორითმების დანერგვა, სამედიცინო მანიპულაციების ოპტიმიზაცია და ინოვაციური ონლაინ პლატფორმების როლი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის პროცესში.

ღონისძიება დასრულდა დისკუსიით, სადაც მონაწილეებმა ისაუბრეს სამედიცინო განათლებაში ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებსა და ამ მიმართულების განვითარების პერსპექტივებზე.

კონფერენცია – „პედიატრიული ნევროლოგიის აქტუალური საკითხები"

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია – „პედიატრიული ნევროლოგიის აქტუალური საკითხები", რომელიც მიეძღვნა თსსუ-ის ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, პროფესორ ნანა გელაძის ხსოვნას.

ორდღიანი სამეცნიერო ღონისძიება მიზნად ისახავდა ბავშვთა ნევროლოგიის სფეროში თანამედროვე ცოდნისა და კლინიკური გამოცდილების გაზიარებას, ნევროლოგიური დარღვევების ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მიდგომების, ასევე, პაციენტთა რეაბილიტაციის აქტუალური საკითხების გაცნობას ფართო სამედიცინო აუდიტორიისთვის, რომელშიც შედიოდნენ საოჯახო მედიცინის ექიმები, ნეონატოლოგები, პედიატრები, ბავშვთა ნევროლოგები, ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგები და ფიზიკური მედიცინის, კურორტოლოგიისა და რეაბილიტოლოგიის დარგების სპეციალისტები.

კონფერენცია გახსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა.

კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ პედიატრიული ნევროლოგიის მიმართულებით წამყვანი უცხოელი ექსპერტები, პროფესორები ციურიხისა (შვეიცარია) და კატოვიცეს (პოლონეთი) უნივერსიტეტებიდან, რომლებმაც საკუთარი კვლევითი და კლინიკური გამოცდილება პრეზენტაციების ფორმატში წარმოადგინეს.

კონფერენცია – „გადაუდებელი მედიცინისა და ინტენსიური თერაპიის თანამედროვე საკითხები"

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია – „გადაუდებელი მედიცინისა და ინტენსიური თერაპიის თანამედროვე საკითხები".

14 ნოემბერს, კონფერენციის გახსნამდე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი **მიხეილ სარჯველაძე** და თსსუ-ის რექტორი, პროფესორი **ირაკლი ნატროშვილი,** სამედიცინო სფეროს წამყვანი საერთაშორისო კლინიკებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრის მთავარი თემა იყო თანამშრომლობის გაძლიერება. მინისტრის თქმით, მსგავსი პარტნიორობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის სამედიცინო სექტორის განვითარებას.

ღონისძიების მიზანი გადაუდებელი მედიცინისა და ინტენსიური თერაპიის სფეროში თანამედროვე მიდგომების, ინოვაციური პრაქტიკული მიდგომებისა და სამეცნიერო მიღწევების გაცვლა იყო, მათ შორის, ისეთი მიმართულებების, რომლებიც პაციენტთა სიცოცხლის გადარჩენის პროცესში ყოველდღიურად გადამწყვეტ როლს ასრულებს.

კონფერენცია გახსნეს საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა: თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურმა დირექტორმა, პროფესორმა **ლევან რატიანმა** და თსსუ-ის კლინიკური ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ლუიზა გაბუნიამ.**

„ჩვენს ქვეყანას პირველად ესტუმრა კრიტიკული მედიცინის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი, პროფესორი, ჟან-ლუი ვინსენტი. სურვილი გვაქვს, მასთან გავაფორმოთ თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდა ექიმების გაცვლა, სადოქტორო პროგრამების მხარდაჭერა და ახალი სამეცნიერო პროექტების დაგეგმვა", – განაცხადა პროფესორმა ლევან რატიანმა.

თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, ყურადღება გაამახვილა თანამედროვე გადაუდებელი მედიცინის განვითარებასა და მის სისტემურ მნიშვნელობაზე.

„ინტენსიური თერაპია არის დარგი, სადაც მედიცინის ყველა მიმართულების წარმომადგენელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამგვარ კონფერენციებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც დარგის, ისე მთლიანად მედიცინის განვითარებას", – აღნიშნა რექტორმა.

კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა, მიხეილ სარჯველაძემ: „მინდა განსაკუთრებულად გამოვყო კონფერენციის ფორმატი – ეს მართლაც უმაღლესი დონის ღონისძიებაა, გამორჩეული ექსპერტებისა და სპეციალისტების მონაწილეობით ჩვენი პარტნიორი და მეგობარი სახელმწიფოებიდან. ეს არის შესანიშნავი შესაძლებლობა, როგორც ქართველი ექიმებისთვის, ისე ჩვენი სტუმრებისთვის, რადგან პრაქტიკული გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთგაცვლა ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთანავე, პროცესში აკადემიური ჩართულობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და მაღალ შეფასებას იმსახურებს".

ორდღიანი კონფერენცია მოიცავდა სამ თემატურ სესიას, პრაქტიკულ მასტერკლასებს და პანელურ დისკუსიებს. შეხვედრაზე განიხილეს კრიტიკული მედიცინის მიმართულებები: სეფსისი, რესპირაციული უკმარისობის მართვა, თანამედროვე მონიტორინგის ტექნოლოგიები და ინოვაციური თერაპიული მიდგომები.

თსსუ-მა ვიზიტიორი პროფესორის სტატუსი მიანიჭა ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, გადაუდებელი მედიცინისა და ინტენსიური თერაპიის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტს, პროფესორ **ჟან-ლუის ვინსენტს** და ეპსომისა და სენტ-ჰელიერის საუნივერსიტეტო კლინიკების (ლონდონი, გაერთიანებული სამეფო) კლინიკურ დირექტორს, პროფესორ **მარკ სატონ-სმიტს**.

ღონისძიება პანელური დისკუსიით დასრულდა.

მადლობის წერილი სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის პროფესორისგან

თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის (ესპანეთი) პროფესორ ვიქტორ მანუელ ვაზკეზისგან მადლობის წერილი მიიღო.

პროფესორი ვასკესი თსსუ-ის მიერ მისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს წოდება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს.

„მსურს გამოვხატო ჩემი ღრმა მადლიერება იმისთვის, რომ მომანიჭეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის (Doctor Honoris Causa) წოდება. ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ასეთი აღიარება და მე კარგად ვაცნობიერებ, რამდენად დიდი მნიშვნელობა და ტრადიცია აქვს ამ წოდებას.

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა ამ განსაკუთრებული პატივისთვის, რომელიც არა მხოლოდ წარსული მიღწევების აღიარებაა, არამედ წახალისებაც – გავაგრძელო ჩვენს უნივერსიტეტებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის გაღრმავებაში წვლილის შეტანა.

მადლობას ვუხდი, ასევე, თქვენი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და ყველას, ვინც მხარი დაუჭირა ჩემს ნომინაციას", – აღნიშნულია წერილში.

11 ნოემბერს თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის (ესპანეთი) პროფესორ ვიქტორ მანუელ ვაზკეზ არჩეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადასცა.

UDNI 2025-ის საერთაშორისო კონგრესზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორებმა – მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა **თინათინ ტყემალაძემ** და თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, **ეკა კვარაცხელიამ,** მონაწილეობა მიიღეს არადიაგნოზირებული დაავადებების საერთაშორისო ქსელის რიგით მე-14 კონფერენციაში – UDNI 2025 (14th Conference of Undiagnosed Disease Network International), რომელიც 2025 წლის 28—31 ოქტომბერს რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია) გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ **2025 წლიდან პროფესორი თინათინ ტყემალაძე UEMS-ის სამედიცინო გენეტიკის სექციაში საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელია** (https://uems-genetics.org/NationalDelegates.html). კონგრესის ფარგლებში, პროფესორი თინათინ ტყემალაძე იყო ღონისძიების აკადემიური ფაკულტეტის წევრი და მოდერაცია გაუწია მე-6 სესიას, რომელიც მიეძღვნა არადიაგნოზირებული დაავადებების კვლევისა და დიაგნოსტიკის ინოვაციურ მიდგომებს.

კონფერენციის სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში, თსსუ-ის დელეგაციამ წარადგინა პოსტერული მოხსენებები.

სტუდენტების წარმატება „სტუდფესტი-2025"-ზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ახალგაზრდული ფესტივალის – „სტუდფესტი 2025" – ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში წარმატება მოიპოვეს და რამდენიმე ნომინაციაში გაიმარჯვეს. ფესტივალში მონაწილეობა 15000-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო, აქედან 400-ზე მეტი გამარჯვებული გამოვლინდა, რომლებიც პრიზებით და შესაბამისი სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ.

თსსუ-ის სტუდენტებმა გამარჯვება მოიპოვეს შემდეგ ნომინაციებში:

III ადგილი: თანამედროვე ცეკვა

III ადგილი: ხალხური სიმღერა

ფესტივალი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ გახსნა, რომელმაც აღნიშნა: - „სტუდფესტი" ყველაზე მასშტაბური ახალგაზრდული ინიციატივაა, რომელსაც სამინისტროს ახალგაზრდობის სააგენტო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაცია ერთობლივად ახორციელებენ''.

სამედიცინო განათლების საერთაშორისო კონფერენცია

სამედიცინო განათლების ყველაზე მასშტაბურმა საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც თსსუ-ში 30-31 ოქტომბერს მიმდინარეობდა ათი ქვეყნისა და ოცდაერთი ინსტიტუციის 300-მდე წარმომადგენლის მონაწილეობით და რომელზეც პლენარული სხდომები, ინტერაქტიული და თემატური პანელები, მცირე ჯგუფური სამუშაო სესიები, მოკლე ზეპირი მოხსენებები და სტუდენტური პოსტერული პრეზენტაციები იყო წარმოდგენილი, მუშაობა დაასრულა.

თსსუ თავისი არსით, მიზნებითა და ფუნქციით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია ქვეყნისთვის. უნივერსიტეტი მუდმივად ერთვება პროფესიული განვითარების პროცესში, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის უწყვეტ წინსვლას. სწორედ ამ მიზნით ჩატარებულ კონფერენციაზე, სამედიცინო განათლების საერთაშორისო ღონისძიების მასპინძელი უნივერსიტეტის – თსსუ-ის – რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა**, ეს საერთაშორისო კონფერენცია ქვეყნის სამედიცინო განათლების განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისად მიიჩნია, ხაზი გაუსვა საერთაშორისო გამოცდილების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ თსსუ-ისთვის პრიორიტეტულია გლობალური ცოდნისა და გამოცდილების ადგილობრივ საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირება.

საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება თსსუ-ის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. სწორედ ამგვარი თანამშრომლობის გაღრმავება ქმნის საფუძველს მომავალი ექიმების პროფესიული და აკადემიური განვითარების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, **გივი მიქანაძემ,** საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით მსგავსი კონფერენციების მნიშვნელობა შეაფასა და მონაწილეებს უმაღლესი განათლების რეფორმის კონცეფცია გააცნო, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ, საზოგადოებას საჯაროდ წარუდგინა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ კონფერენცია წარმოადგენს პლატფორმას ახალი იდეების, ინოვაციური მიდგომების, გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო სტრატეგიული თანამშრომლობის გაფართოებისთვის, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს სამედიცინო განათლების სისტემის წინსვლისთვის; ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველოს სამედიცინო განათლება გახდეს რეგიონში საუკეთესო და შეესაბამებოდეს მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს, რაც გაზრდის სტუდენტთა კონკურენტუნარიანობას და უზრუნველყოფს უმაღლეს პროფესიულ კომპეტენციას, – აღნიშნა გამომსვლელმა.

სამედიცინო განათლების განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, სწავლების მაღალი ხარისხისა და პროფესიული უნარების განვითარებაზე, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტიანობასა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე, ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, **მიხეილ სარჯველაძემ.**

– საქართველო ჩვენი ორგანიზაციის (AMSE) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია, სადაც ამ მიმართულებით ფუნდამენტური ცვლილებები ხორციელდება, – განაცხადა ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) პრეზიდენტმა, **ჰარმ პეტერსმა**, რომელსაც გამოსვლის შემდეგ თსსუ-ის რექტორმა თსსუ-ის საპატიო დოქტორის წოდების დამადასტურებელი სერტიფიკატი გადასცა.

ემორის (აშშ) უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორმა, **მერი ჯო ლეკოვიჩმა,** განაცხადა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საქმიანობა ძალიან მაღალ შეფასებას იმსახურებს, რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა. მან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ლიდერი უნივერსიტეტის სახელით მოიხსენია.

ფორუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ხელოვნური ინტელექტის როლი სამედიცინო განათლებასა და კლინიკურ პრაქტიკაში, თუ როგორ ცვლის AI ტექნოლოგია სწავლებისა და შეფასების მიდგომებს თანამედროვე მედიცინაში.

პროფესორმა **ანუშ ზუჩიმ** (პორტუგალია) ისაუბრა ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირების შესახებ სამედიცინო პროექტებში და როგორ შეუძლია ამ ტექნოლოგიას რეალურად წინ წაიყვანოს მეცნიერება, რათა ადამიანებს ჰქონდეთ საკუთარი ბიომარკერების მუდმივი მონიტორინგის შესაძლებლობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად.

კონფერენციის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თემატურ სესიებსა და ვორქშოფებს, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც საერთაშორისო, ასევე, ქართველი მომხსენებლები.

თსსუ-ის საერთაშორისო დეპარტამენტის საგრანტო პროექტების მოზიდვისა და ხელშეწყობის განყოფილების უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, **ნონა ჯანიკაშვილმა,** ჩაატარა ვორქშოფი თემაზე – „იდეების გარდაქმნა გავლენიან პროექტებად სამედიცინო განათლებაში“. მისი განცხადებით, ქართველმა მომხსენებლებმა წარმოადგინეს საუკეთესო პრაქტიკული მაგალითები, განიხილეს სასწავლო პროცესში დანერგილი მეთოდები, ასევე, დაგეგმვისა და განვითარების სტრატეგიები.

პანელური სესიის ფარგლებში, განიხილეს სამედიცინო განათლების გამოწვევები, ახალი პრაქტიკული გამოცდილება და ინოვაციური მიდგომები.

თსსუ-ის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **გივი ჯავაშვილმა**, აღნიშნა, რომ კვლევა და გამოცდილების გაზიარება განათლების წინსვლისთვის აუცილებელია და თსსუ ამ პროცესში ფლაგმანად მოიაზრება.

კონფერენციაზე ყურადღება დაეთმო სტუდენტების აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას. აღნიშნა, რომ მომავალი პროფესიონალების ინიციატივები პირდაპირ აისახება სამედიცინო განათლების განვითარებაზე.

კონფერენციის ფარგლებში, გაიმართა სტუდენტური პოსტერების პრეზენტაციები, სხვადასხვა სამედიცინო სკოლის წარმომადგენლების მონაწილეობით. ახალგაზრდებმა რეტროსპექტული კვლევები პოსტერების სახით წარმოადგინეს, რომლებიც შეფასდა და გამოვლინდა სამი გამარჯვებული, ასევე, აუდიტორიის ფავორიტი სტუდენტური პოსტერი.

„ეს კონფერენცია შესაძლებლობას გვაძლევს გამოცდილების გაცვლის, ახალი მიდგომების შესწავლისა და მათი პრაქტიკაში დანერგვის გზით შევქმნათ უფრო ეფექტიანი სასწავლო გარემო. ღონისძიებამ დიდი დაინტერესება გამოიწვია, რაც ცხადყოფს, რომ საქართველოში სამედიცინო განათლების თემები აქტუალურია, მით უმეტეს, როდესაც ეს სფერო ძალიან სწრაფად ვითარდება და განათლებამაც უნდა აუბას მას მხარი“.

პროფესორი ირაკლი ნატროშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

„ჩვენ ვალდებულნი ვართ სტუდენტების ინტერესს და მოლოდინს ვუპასუხოთ მაღალი ხარისხით, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარებით“.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი, გივი მიქანაძე

„სამედიცინო განათლება განვითარების თვალსაზრისით რჩება პრიორიტეტულ მიმართულებად. ჯანდაცვის სამინისტროსთვის უმნიშვნელოვანესია მჭიდრო თანამშრომლობა საგანმანათლებლო სექტორთან, განსაკუთრებით მედიცინის სფეროში, სადაც ცოდნისა და პრაქტიკის ხარისხი პირდაპირ აისახება ქვეყნის ჯანმრთელობის სისტემის ეფექტიანობაზე და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე“.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, მიხეილ სარჯველაძე

„ვულოცავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას. საქართველო ჩვენი ორგანიზაციის (AMSE) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია, სადაც ამ მიმართულებით ფუნდამენტური ცვლილებები ხორციელდება“.

ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) პრეზიდენტი, ჰარმ პეტერსი

„სამედიცინო განათლების მიმდინარე ტენდენციების თვალსაზრისით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კვლავ ლიდერია, როგორც ყოველთვის. ერთ-ერთი ყველაზე შთამაგონებელი არის ის, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს ინოვაციების დანერგვას – ყოველწლიურად სწავლობს, როგორ გავაუმჯობესოთ პროცესი და როგორ ვიხელმძღვანელოთ თანამედროვე გამოწვევებით“.

ემორის (აშშ) უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორი, მერი ჯო ლეკოვიჩი

„ეს კონფერენცია განსაკუთრებით აქტუალურია იმ პერიოდში, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელობამ დააანონსა უმაღლესი განათლების რეფორმა, რომელიც ძირეულად გააუმჯობესებს განათლების ხარისხს. გვწამს, რომ ძლიერი სამედიცინო განათლება ჯანმრთელი საზოგადოების გარანტია. ამ რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი ღერძი, ასევე, სამედიცინო განათლებაა“.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ლაშხი

„ხელოვნური ინტელექტი და ციფრული პლატფორმების ტექნოლოგიები მედიცინის სფეროში უზარმაზარ შესაძლებლობებს ქმნის. კონფერენციაზე ვისაუბრე, თუ როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება სამედიცინო პროექტებში და როგორ შეუძლია ამ ტექნოლოგიას რეალურად წინ წაიყვანოს მეცნიერება.“.

ინდუსტრიული ინჟინერიის მიმართულებით მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სკოლის (პორტუგალია) პროფესორი ანუშ ზუჩი

„ქართველმა მომხსენებლებმა წარმოადგინეს საუკეთესო პრაქტიკული მაგალითები, განიხილეს სასწავლო პროცესში დანერგილი მეთოდები, ასევე, დაგეგმვისა და განვითარების სტრატეგიები. პანელური სესიის ფარგლებში დეტალურად განიხილეს სამედიცინო განათლების გამოწვევები, ახალი პრაქტიკები და ინოვაციური მიდგომები“.

თსსუ-ის საერთაშორისო დეპარტამენტის საგრანტო პროექტების მოზიდვისა და ხელშეწყობის განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი ნონა ჯანიკაშვილი

„განათლება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, ხოლო კვლევა და გამოცდილების გაზიარება ამ სფეროს წინსვლისთვის აუცილებელია. მოხარული ვარ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ამ პროცესში ფლაგმანად მოიაზრება“.

თსსუ-ის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გივი ჯავაშვილი

სტუდენტური გვერდი

„სამედიცინო გაზეთის“ „სტუდენტური გვერდის“ საშუალებით, გვსურს მკითხველს გავუზიაროთ საინტერესო ინფორმაცია თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის გუნდის მიმდინარე აქტივობების შესახებ

ტურიზმის დეპარტამენტი

3 ნოემბერს სტუდენტები ძამას ხეობას ეს-ტუმრნენ და ბატეთის ტბა მოინახულეს. დანიშ-ნულების წერტილამდე მისვლა არც ისე მარ-ტივი აღმოჩნდა, თუმცა, მომნუსხველი ბუნების ხედებმა ნამდვილად დაუვიწყარი დღე აჩუქა თითოეულ მონაწილეს. დიდი დაინტერესებიდან გამომდინარე, 9 ნოემბერს უკვე მეორე ლაშ-ქრობა მოეწყო. მონაწილეებს არ გასჭირვებიათ დაბრკოლებებით სავსე მარშრუტის გავლა, კო-ჯრის ციხის, კაბენის მონასტრისა და ჩანჩქერის მოსანახულებლად. ლაშქრობისას სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, მოესმინათ საინტერესო ფაქტები ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ და ჩართულიყვნენ სხვადასხვა გასართობ-შე-მეცნებით აქტივობაში. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტებმა, დაახლოებით, 300-მდე სტუდენტი გააერთიანა.

განათლების დეპარტამენტი

ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ თსსუ-ელებს შორის განსაკუთრებული პო-



პულარობით სარგებლობს ინტელექტუალური თამაშები. 7 ნოემბერს, თსსუ-ის სტუდენტური თითმმართველობის განათლების დეპარტამენ-ტის ორგანიზებით, გაიმართა შემეცნებით-გა-სართობი თამაში – ,,ჯეპარდი'', რომელშიც გამარჯვება **კონსტანტინ მაქსიმილიან პეტერსა** და **ლუკა ადეიშვილს** ხვდათ წილად.

გეტყვით იმასაც, რომ განათლების დე-პარტამენტის ორგანიზებით, წინ განსაკუთრე-ბულად საინტერესო აქტივობები გელოდებათ.

სპორტის დეპარტამენტი

დატვირთული სასწავლო დღეების შემდეგ, სპორტის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი აქტივობები სტუდენტებისთვის განტვირთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. 8 ნოემ-ბერს ბილიარდის, ბოულინგისა და FIFA-ს ტურ-ნირები გაიმართა. გზა გამარჯვებამდე აღსავ-სე იყო დაბრკოლებებით, მხარდაჭერითა და სასიამოვნო ემოციებით. ჩემპიონის ტიტულის მფლობელები გახდნენ: **რამაზ მეზვრიშვილი (ბილიარდი); გიორგი კომახიძე (ბოულინგი); Sreerag Rajesh (FIFA)**; 11 ნოემბერს კი მაგიდის ჩოგბურთის ტურნირის გამარჯვებულები გამოვლინდნენ. ბიჭებში პირველი ადგილი **გიორგი ლიპარტიამ**, გოგონებში კი **Mary Ann Vincent**-მა მოიპოვა. აქვე გეტყვით იმასაც, რომ სპორტის დეპარტამენტის მიერ ორგანი-ზებულ პროექტებში, ქართველ სტუდენტებ-თან ერთად, განსაკუთრებით აქტიურად არიან ჩართულნი უცხოელი სტუდენტებიც.

კულტურის დეპარტამენტი

6 და 13 ნოემბერს თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტა-მენტის მიერ ორგანიზებული პროექტები გაი-მართა. „თსსუ-ის ჯახი“ – ასე ჰქვია თამაშს, რომელიც პირველად შარშან გაიმართა და ამე-რიკული შოუს ქართულ ანალოგს წარმოად-გენს. ნელს გამარჯვება **ცოტნე ცუცქირიძის, თემურ ხომასურიძისა** და **ოთო რუსიტაშვი-ლის** ტრიოს ხვდა წილად; რაც შეეხება მეო-რე პროექტ – ,,ინტუიციას'', აქ პირველობა გოგონებმა – **რუსუდან მსხილაძემ** და **ლიზა ჩარექიშვილმა** არავის დაუთმეს და საუკეთესო მოთამაშეების ტიტულიც მოიპოვეს.

30-31 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა საქართველოში გამართულ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ სა-მედიცინო განათლების საერთაშორისო კონფე-რენციას უმასპინძლა.

განსაკუთრებით საამაყოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ კონფერენციაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი თბილისის სახელმწიფო სამედი-ცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელ-თაც წარმოადგინეს პოსტერული მოხსენებები; ფარული ხმის მიცემით, რამდენიმე რჩეული სტუდენტური ნაშრომი გამოვლინდა, მათ შო-რის ერთ-ერთი **ანანო ჯაფარიძეს**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ამერიკული პროგრამის მეშვიდე სემესტრელ სტუდენტს ეკუთვნის,

– ანანო, თსსუ-ის „სამედიცინო გაზეთის“ სახელით მოგესალმები და გილოცავთ მიღწეულ წარმატებას! თქვენი პოსტერული მოხსენება ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა სამედიცინო განათლების საერთაშორისო კონფერენციაზე; როგორია თქვენი ემოციები და განვლილი გზა წარმატებამდე?

– რა თქმა უნდა, ძალიან გაგვახარა იმ ამ-ბავმა, რომ გამარჯვებულთა სიაში მოვხვდით და ის პერსპექტი-ვა, რაც ამ კვლევას აქვს, ჩვენმა კოლე-გებმაც გაიზიარეს. თემის სახელწოდე-ბაა – ,,Inflammatory Markers As Predictors Of Post-Operative Atrial Fibrillation In Patients Undergoing AVR», რომელზეც ჩემთან ერთად მუშაობდნენ სტუდენტები: **ნუკი კიკოლაშვილი, ანი დოლიძე** და **ლევან ნებიერიძე**; კვლევის ხელმძღვანელი იყო თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი **ნონა ჯა-ნიკაშვილი**. კვლევისთვის საჭირო პაციენტე-ბის ანალიზების შეგროვებას, დახარისხებას და დამუშავებას 3 თვე დაეთმო. საბოლოოდ, კვლევის კრიტერიუმების სრული სიზუსტით, შეირჩა თითოეული პაციენტი. ძალიან ემოციურ-რი და სასიხარულო იყო, როცა, მონაცემების დამუშავების შემდეგ, სასურველ შედეგზე გა-ვედით და ის პერსპექტივა, რომ რაღაც ახალს და ყველასთვის ხელმისაწვდომს დავნერგავ-დით პრაქტიკაში, უფრო რეალური გახდა.

– თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვა-ნია მსგავსი ღონისძიებების ჩატარება და მათში სტუდენტების ჩართულობა?

– ვფიქრობ, სტუდენტებისთვის, როგორც მომავალი ექიმებისთვის, გადამწყვეტი მნიშვნე-ლობა აქვს კრიტიკულ აზროვნებას და ასეთ ღონისძიებებში ჩართულობა, გარდა იმისა, რომ უდიდეს კვლევით გამოცდილებას იძლევა, გეხმარება, რომ ეს უნარი განავითარო, ერთი საკითხი სხვადასხვა პერსპექტივიდან დაინახო და განსაჯო. კვლევის კეთება ჰგავს უწყვე-ტი ამოცანების ციკლს, თითოეულის ამოხსნა ერთი ნაბიჯით გაახლოებს დასახულ მიზანს!

დაუზოგავი შრომისთვის მადლობას ვუხ-დი კვლევის ხელმძღვანელს, ქალბატონ **ნონა ჯანიკაშვილსა** და ზემოთ ხსენებული გუნდის თითოეულ წევრს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამედი-ცინო განათლების საერთაშორისო კონფე-რენციის საორგანიზაციო საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სტუ-დენტები, გიზიარებთ რამდენიმე მათგანის შთაბეჭდილებას, რომლებსაც შეკითხვებით მივმართეთ:

– რას ნიშნავს იყო განათლების საერ-თაშორისო კონფერენციის საორგანიზა-ციო გუნდის წევრი? – გვიამბე შენი გამოც-დილების შესახებ:

ელენი ალადაშვილი, მედიცინის ფაკულ-ტეტის მე-5 სემესტრის სტუდენტი:

– საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო გუნდში მონაწილეობა ჩემთვის პირველი, თუმცა, მეტად ამა-ღელვებელი და მნიშვნელოვანი გამოც-დილება იყო. კადრს მიღმა ჩართულობამ მასშტაბური ღონისძიების ორგანიზების რეალური პროცესი და პასუხისმგებლო-ბა დამანახა. განსაკუთრებით ღირებული იყო მედიცინის სფეროს გამორჩეულ სპე-ციალისტებთან ურთიერთობა და მათგან მიღებული ცოდნა, რამაც ჩემს პროფე-სიულ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

მარიამ თოდუა, თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის მე-3 სემესტრის სტუდენტი:

– სამედიცინო განათლების საერ-თაშორისო კონფერენციაში ჩართული ვიყავი, როგორც საორგანიზაციო გუნ-დის წევრი, ამ ორი დღის განმავლობაში მქონდა შესაძლებლობა, შევხვედროდი საერთაშორისო ექსპერტებს მედიცინის დარგში და ჩავრთულიყავი სამედიცინო განათლების გლობალურ დისკუსიებშიც კი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ძირითა-დი როლი საორგანიზაციო მხარეს უკა-ვშირდებოდა, პარალელურად, მქონდა შესაძლებლობა, დავსწრებოდი ვორქშო-ფებსა და ლექციებს, რომლებიც ეხებოდა სამედიცინო განათლების თანამედროვე გამოწვევებს, რაც საოცარი გამოცდილე-ბა აღმოჩნდა ჩემთვის.

ამ საერთაშორისო მასშტაბის კონ-ფერენციამ არა მხოლოდ პროფესიული უნარები გამიღრმავა, არამედ მაჩვენა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გუნდურ-რი მუშაობა, ეფექტური კომუნიკაცია და პასუხისმგებლობა საერთო მიზნის მისაღწევად. დამრჩა დაუვიწყარი შთაბეჭდილებები და დიდი მოტივაცია მო-მეცა, მომავალში კი-დევ უფრო აქტიურად ჩავერთო მსგავსი ღონისძიებების ორგანი-ზებაში.

– რა მიმართულებით იყავი კონფერენ-ციაში ჩართული და რა უნარები შეიძინე ამ პერიოდის განმავლობაში?

ნანკა მიდელაშვილი, ფარმაციის ფაკულტე-ტის მე- 5 სემესტრის სტუდენტი:

– კონფერენციის განმავლობაში ჩემი პა-სუხისმგებლობა იყო სტუმრების მიღება, მათი რეგისტრაციის სწრაფად და ორგანიზებულად განხორციელება, ასევე, პოსტერული სესიის მა-სალების გაცნობა და მონაწილეებისთვის სწო-რი მიმართულების მიცემა. პროცესი ძალიან სასიამოვნო და საინტერესო იყო. ამ გამოცდი-ლებამ გამიუმჯობესა კომუნიკაციის, ორგანი-ზების, დროის მართვისა და პასუხისმგებლობის უნარები. გარდა ამისა, ვისწავლე ღონისძიე-ბის კოორდინაციის ძირითადი პრინციპები და სამუშაოს მშვიდად მართვა დატვირთულ გა-რემოში; გავიცანი უამრავი ახალი ადამიანი, სტუდენტი და, რაც მთავარია, – აკადემიური პერსონალი, ასევე, დავესწარი კონფერენციის მსვლელობას, რამაც ბევრ საკითხში გამიღრ-მავა ცოდნა. მომავალში ამ უნარებს აუცილე-ბლად გამოვიყენებ, როგორც საკონფერენციო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის-თვის, ისე ჩემს სფეროში მუშაობისას, სადაც ურთიერთობა, ორგანიზებულობა და სწრაფი ადაპტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

– შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი მასშტაბის კონფერენციებში სტუდენ-ტების ჩართულობა?

დეა გაგუა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის მე-3 სემესტრის სტუდენტი:

– ვფიქრობ, მსგავსი მასშტაბის ღონისძიე-ბებში სტუდენტების აქტიური ჩართულობა აუცილებელია, რადგან ასეთ დროს ვიძენთ მნიშვნელოვან გამოცდილებას, ვეცნობით უცხოელ პროფესორებსა და ექიმებს, ვვითარ-დებით, როგორც პროფესიულად, ასევე, პი-როვნულად. მადლობას ვუხდი, როგორც ჩვენს უნივერსიტეტს, ასევე, სტუდენტურ თვითმმარ-თველობას ასეთი შესაძლებლობისთვის.

შალვა მღებრიშვილი, თსსუ-ის სტუდენტუ-რი თვითმმართველობის პრეზიდენტი:

ვულოცავ მშობლიურ თბილისის სახელ-მწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სამედიცინო განათლების საერთაშორისო კონფერენციის წარმატებით დასრულებას. ასეთი მასშტაბის ღონისძიებების მასპინძლობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რაოდენ მნიშნელოვან და ღირებულ საქმეს ემსახურება ჩვენი უნი-ვერსიტეტი. საბედნიეროდ, თსსუ-ის სტუდენ-ტური თვითმმართველობის გუნდს გვქონდა შესაძლებლობა და პატივი, ვყოფილიყავით ამ განსაკუთრებული მოვლენის მონაწილეები. ჩვენი წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი კონფერენციის საორგანიზაციო ნაწილში, რის გამოც, მსურს, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო კონფერენციის თი-თოეულ ორგანიზატორს და, ასევე, ჩვენს სტუ-დენტებს, გაწეული დახმარებისა და მხარდაჭე-რისთვის. მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა ახალგაზრდობისთვის უდიდესი მოტივაცია და შესაძლებლობაა, გაეცნონ სამედიცინო სფეროს აქტუალურ საკითხებს მსოფლიო მასშტაბით და გადადგან პირველი მნიშნელოვანი ნაბიჯები პროფესიული საქმიანობის გზაზე.

ნინო ჭილაძე , „სამედიცინო გაზეთის“
სტუდენტური გვერდის ხელმძღვანელი,
თსსუ-ის სტუდენტური
თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი,
დიპლომირებული მედიკოსის
ქართულენოვანი პროგრამის
მე-7 სემესტრის სტუდენტი

თსსუ-ის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი

90 წელი

დიპლომისშემდგომი განათლება სამედიცინო განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სამედიცინო სფეროში მომუშავე ყველა პროფესიონალს გამოცდილი აქვს და იცის, რა დიდი გამოწვევის წინაშე დგება თითოეული მათგანი, მას მერე, რაც დიპლომს აიღებს და პრაქტიკულ საქმიანობას იწყებს. და სწორედ აქ იკვეთება თსსუ-ის დიპლომისშემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის როლი, რომელიც ინსტიტუციური არსებობის 90 წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე, ამ ინსტიტუციამ არაერთი სერიოზული განაცხადი გააკეთა საქართველოს სამედიცინო სივრცეში. მისი წვლილი ძალიან დიდია საქართველოში პროფესიონალი სამედიცინო კადრების მომზადებასა და მაღალი სამედიცინო სტანდარტების დანერგვაში. მინდა, მივულოცო ეს სერიოზული თარიღი – არსებობის 90 წელი თსსუ-ის დიპლომისშემდგომი განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტს; ვუსურვო კიდევ უფრო დიდი წარმატებები საქმიანობაში: განვითარების ახალ და ახალ საფეხურებზე გადასვლა, ახალი პროგრამების შექმნა, არსებული პროგრამების დახვეწა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სამედიცინო სფეროს განვითარებისა და სრულყოფისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ირაკლი ნატროშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი 90 წლისაა. თითქმის საუკუნოვანი ისტორია სერიოზულ კვალს ტოვებს საქართველოს სამედიცინო სფეროს განვითარების საქმეში.

90 წლიანი საქმიანობის ამსახველი ოფიციალური (ისტორიული) დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის არქივში. აქვეა სტენდი, სადაც განთავსებულია ინსტიტუტის ყველა დირექტორის ფოტო, დაწყებული 1935 წლიდან დღემდე. ისტორიის პატივისცემითა და თანამედროვე გამოწვევების კვალდაკვალ ამ ინსტიტუციამ შეძლო, ყოფილიყო ერთ-ერთი სანდო, პერსპექტიული, ავტორიტეტული და მიზანმიმართული თანამედროვე სამეცნიერო სფეროში.

ჩვენ ვესაუბრეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ **ზაზა ბოხუას**, რომელმაც მოგვითხრო არაერთი საინტერესო ეპიზოდი ინსტიტუტის ცხოვრებიდან. ვეცადეთ, ამ საუბრიდან ამოგვეკრიბა ის კონკრეტული ინფორმაცია, რაც საინტერესო იქნებოდა თსსუ-ის სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმების ინფორმირებისთვის ინსტიტუტის საქმიანობის უკეთ გაცნობის თვალსაზრისით.

მცირე ინფორმაცია ფართო რაკურსით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის წინამორბედი – ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი დაარსდა 1935 წელს. გარდა იმისა, რომ ინსტიტუტში მიმდინარეობდა ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ციკლები, აქ გადაიჭრა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ექიმთა მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ეფექტური შერწყმა.

1990 წლიდან თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტს, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების გარდა, დაეკალა სტუდენტ-მედიკოსთა სწავლებაც. 1991 წლიდან ინსტიტუტი საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა, 1993 წლიდან მიენიჭა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი და ეწოდა „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია“. სტუდენტთა ფაკულტეტის გაუქმებასთან დაკავშირებით, აკადემიას კვლავ შეეცვალა სახელი და დაერქვა – „ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემია“, ექიმთა დიპლომისშემდგომი მომზადების და დახელოვნების სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსით.

1999 წლიდან საქართველოში დაიწყო დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების რეფორმა, რომლის შემდგომ, 2001 წლიდან, აკადემიას დაეკისრა სამედიცინო პერსონალის უმაღლესის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის), უწყვეტი სამედიცინო განათლების, ექიმთა და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში კადრების მართვაში საბაზისო დაწესებულების ფუნქცია და ეწოდა „საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია“.

2006 წლიდან განხორციელდა აკადემიის ინტეგრაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან, „დიპლომისშემდგომი განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის“ სახელწოდებით. ინსტიტუტს მიენიჭა უფლებამოსილება, უზრუნველყოს დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განვითარება, სამედიცინო და პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, უმაღლესი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის დიპლომისშემდგომი განათლების წარმართვა.

შედეგი, რომელიც თვალსაჩინოა

საქართველოში 1935 წელს დაარსებული ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი გახლდათ საკავშირო დაქვემდებარების დაწესებულება.

ეს გახლდათ ძალიან დიდი მნიშვნელობისა და ფუნქციის მქონე ინსტიტუცია, სადაც ექიმთა უმრავლესობას უწევდა პროფესიული სრულყოფისთვის გარკვეული კურსის გავლა.

დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მიერ მომზადებული კადრები მთელი საქართველოს მასშტაბით, და არა მარტო საქართველოს, არამედ – საერთაშორისო დონეზეც, წარმატებულად ახორციელებენ სამედიცინო საქმიანობას.

90 წლის ისტორიის მქონე ინსტიტუციას აქვს ისეთი გამოცდილება და რესურსი, რომლითაც საუკეთესო შედეგის მიღწევაა შესაძლებელი და ეს თვალსაჩინო გახლავთ. დრო იცვლება და დროის შესაბამისად იცვლება მოთხოვნები, ამოცანები, გამოწვევები. უმთავრესია, რომ ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, ტრადიციების გათვალისწინებით და განვითარების სურვილით, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი ყველაზე თანამედროვე და კვალიფიციური ინსტიტუციაა თავისი საქმიანობის სფეროში.

ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ

ბევრი რამ არის ახალი და დროის გამოწვევების შესაბამისი:

ჯანდაცვის სფეროში არსებული თანამედროვე მოთხოვნებიდან და საკითხთა აქტუალობიდან გამომდინარე, უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური აგრძელებს მუშაობას სტრატეგიული მიმართულებით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მესამე ეროვნული პროგრამის ფარგლებში, ორგანიზაციის საქართველოს ოფისსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომელიც დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების წარმატებული პროგრამების დანერგვასა და განხორციელებას ეხება.

გაეროს მოსახლეობის ფონდსა (UNFPA) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის 2015 წელს დაწყებული თანამშრომლობა ორ ძირითად საკითხს ეხება:

- ოჯახის დაგეგმვის სფეროში სამედიცინო და პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მტკიცებულებასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ოჯახის დაგეგმვის ინტერაქტიული სასწავლო პაკეტის (Virtual contraceptive consultation - ViC) მიღება და დანერგვა;
- საექიმო საქმიანობის ისტორიის შეგროვება/წარმოების ახალი წესის – ე.წ „პორტფოლიოს“ პაკეტის შემუშავება შემდგომი პილოტირებით საექიმო სპეციალობაში „მეანობა-გინეკოლოგია“,რეზიდენტურისა და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სფეროში ხარისხის გასაუმჯობესებლად, კლინიკური საქმიანობის სათანადო შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით.

ონლაინპლატფორმა მოქნილი ფორმაა ექიმთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის. პროგრამა იძლევა საშუალებას, მომხმარებელი გაეცნოს თემატიკის შესაბამის სასწავლო ლიტერატურას, მასალას. სასწავლო პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს სავარჯიშო ვერსიას, იძლევა რა შესაძლებლობას, აპლიკანტმა გაიაროს წინასწარი ტესტირება საკუთარი ცოდნის შესაფასებლად, სანამ უშუალოდ სერტიფიკატის მოპოვების პროცესს შეუდგება.

2018 წელს ამუშავდა ონლაინ სასწავლო პლატფორმაზე განთავსებული აკრედიტებული სასწავლო კურსი, რომელიც შეიძლება ნებისმიერმა მსურველმა გაიაროს. საქართველოს მოქალაქე ექიმებისთვის ეს პროგრამა უფასოა.

დაინერგა ელექტრონული პორტფოლიო – რასაც ადრე რეზიდენტი განხორციელებული/შესრულებული სამუშაოთა აღრიცხვის მიზნით აწარმოებდა დღიურის სახით, ახლა ამას რეზიდენტები ელექტრონულად აკეთებენ: ზედმიწევნით აღირიცხება ყველაფერი, რასაც რეზიდენტი აკეთებს კვირის განმავლობაში, შესაბამისი ფოტომასალითა და საბუთებით, ის ყველაფერს ატვირთავს თავის გვერდზე, მასალის უტყუარობას უდასტურებს რეზიდენტურის ხელმძღვანელი.

ერთადერთი, რაც იზღუდება, ეს ავადმყოფის ისტორიაა, რათა არ დაირღვეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნა. ყველაფერი კონტროლდება, რაც ემსახურება რეზიდენტურაში სწავლის ეფექტურობის ზრდასა და მეტ მობილიზებას.

ასევე, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, არის შესაძლებელი, ისარგებლოთ პლატფორმით – ვიკი – ვირტუალური კონტრაცეფციის პროგრამა. ეს პლატფორმა გადადის ბუქარესტის პლატფორმაზე, სადაც საკუთარი მონაცემების ქართულ ენაზე შევსების შემთხვევაში, აკრედიტაცია უფასოა.

ექიმები ვვითარდებით უწყვეტად

უწყვეტი სამედიცინო განათლება იმიტომაც ჰქვია, რომ სამედიცინო სფეროში განვითარება საჭიროა უწყვეტად, სამედიცინო პერსონალი ყოველდღიურად უნდა ვითარდებოდეს.

როგორ მივაწოდოთ ზრდასრულ პროფესიონალს ის, რაც აინტერესებს და ისე, როგორც აინტერესებს?

ამისთვის შექმნილია მოქნილი, კონკურენტული გარემო. მუდმივად ხდება პროგრამების განახლება, ახალი პროგრამების მომზადება თანამედროვე ადგილობრივი და საერთაშორისო გაიდლაინებისა და პროტოკოლების საფუძველზე. ყველა პროგრამა აკრედიტებულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ. ექიმებს აქვთ მათთვის საინტერესო პროგამების ფართო არჩევანი.

პარალელურად, მონიტორინგი უტარდება ელექტრონული ფორმით შევსებულ ტესტებს, ვლინდება, რა სირთულეებია ექიმებისთვის პრიორიტეტული, სად არის საჭირო დახმარება.

შენი ინსტიტუტი – შენი მომავალი

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მიზანია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების წარმართვა. ამ საქმიანობას ინსტიტუტში არსებული რეზიდენტურისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს და მართავს.

დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება/რეზიდენტურა) უმაღლესი სამედიცინო განათლების/დიპლომამდელი სამედიცინო განათლების შემდგომი ეტაპია საექიმო სპეციალობის დასაუფლებლად და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად.

დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) მიმდინარეობს 50 საექიმო სპეციალობაში უნიფიცირებული აკრედიტებული სარეზიდენტო პროგრამებით, განათლების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. საერთო ლიმიტი, ამ ეტაპისათვის, 950 ადგილია. პროფესიული მზადების მრავალეტაპიან პროცესში არაერთი რგოლია ჩართული: თავად სპეციალობის მაძიებელი/რეზიდენტი, მოდულის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი, თსსუ-ის საგამოცდო ცენტრი, თსსუ-ის აფილირებული და პარტნიორი კლინიკები — ჯამში 139-ზე მეტი სამედიცინო დაწესებულება და, რა თქმა უნდა, რეზიდენტურის სამსახური, რომელიც მართავს და კოორდინაციას უწევს პროფესიული მზადების მუდმივად ცვლად და დინამიკურ პროცესს. 2022 წელს შეიქმნა და ამოქმედდა სპეციალობის მაძიებლის/რეზიდენტის ელექტრონული პლატფორმა. აღნიშნული ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების პროცესის გაცილებით ეფექტურად წარმართვას.

უწყვეტი პროფესიული განვითარება დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება/რეზიდენტურა) მომდევნო ეტაპია და გრძელდება ექიმის მთელი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში, არის რა საექიმო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. მისი მიზანია დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების თანამედროვე მედიცინის მიღწევებსა და ტექნოლოგიებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. მედიცინის და თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების სწრაფი განვითარების გამო, სამედიცინო პერსონალი პერმანენტულად საჭიროებს მიღებული სამედიცინო განათლების გაღრმავებას და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწას. სწორედ ამ მიმართულებით აწარმოებს მუშაობას უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური საუნივერსიტეტო, უნივერსიტეტთან აფილირებულ და პარტნიორ კლინიკებში, ახორციელებს რა შემდეგი ტიპის პროგრამებს:

- უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა;
- პროფესიული რეაბილიტაცია კლინიკური მოდულით;
- კვალიფიკაციის გრძელვადიანი პროგრამა;
- კლინიკური სტაჟირების კურსი;
- გადამზადების პროგრამა;
- სუბსპეციალობის პროგრამა;
- სპეციალიზაციის პროგრამა.

დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება/რეზიდენტურა) და შემდგომ უწყვეტი პროფესიული განვითარება ექიმის მთელი პროფესიული საქმიანობის მანძილზე გრძელდება. ინსტიტუტი კი უზრუნველყოფს სამედიცინო განათლების ორივე სისტემის/პროგრამის/პროცესის ან ორივე ეტაპის განხორციელებას ერთ საგანმანათლებლო სივრცეში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის და მისი წინამორბედი ინსტიტუციების ხელმძღვანელები:

- დოცენტი ილია ქოჩიაშვილი (1935-1938)
- ექიმი პოლიკარპე დოლიძე (1938-1939)
- პროფესორი მიხეილ კოკოჩაშვილი (1939-1940)
- პროფესორი დავით იოსელიანი (1940-1949)
- პროფესორი ალექსანდრე წულუკიძე (1949-1953)
- პროფესორი დავით მამამთავრიშვილი (1953-1954)
- პროფესორი გიორგი ხუნდაძე (1954-1979)
- აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი (1979-1988)
- ხელმძღვანელის მ/შ დოცენტი პეტრე შოთაძე (1988-1989)
- პროფესორი ზაალ კახიანი (1989-1999)
- დოცენტი პეტრე შოთაძე (II. 1999 -VI. 1999)
- ხელმძღვანელის მ/შ პროფესორი ირაკლი ფავლენიშვილი (VI.1999-X.1999)
- პროფესორი რომან შაქარიშვილი (1999-2004)
- პროფესორი გიორგი მენაბდე (2004-2006)
- ხელმძღვანელის მ/შ პროფესორი ირაკლი ფავლენიშვილი (III.2006-V. 2006)
- პროფესორი ირაკლი ფავლენიშვილი (2006-2008)
- პროფესორი ზაზა ბოხუა (2008-2018)
- აკადემიური დოქტორი ქეთევან ებრალიძე (2018-2020)
- პროფესორი ზაზა ბოხუა (2020-დღემდე)

მესამე რექტორი – კლიმენტი ცომაია

კლიმენტი ცომაია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მესამე რექტორი (დირექტორი) გახლდათ. როგორც პირველი და მეორე რექტორის შემთხვევაში, ამჯერადაც ვცადეთ დავკავშირებოდით მის რომელიმე შთამომავალს, რომელიც გვიპასუხებდა შეკითხვებზე და ამომწურავ ინფორმაციას მოგვაწვდიდა მის მიერ განვლილი გზის შესახებ, თუმცა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და უფრო ხანგრძლივი ძიების გზას დავადექით – საქართველოს ეროვნულ არქივსა და გასული საუკუნის 30-იანი წლების პერიოდულ გამოცემებში შევეცადეთ შეგვეკრიბა ცნობები სამედიცინო ინსტიტუტის მესამე რექტორის შესახებ, თუმცა სრულყოფილი შედეგის მისაღწევად ყველაზე მეტად თსსუ-ის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში მოკვლეული მასალები დაგვეხმარა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მუზეუმის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს **რამაზ შენგელიას** და მუზეუმის ფონდების მცველს, **ლევან ჯოჯუას**. პერიოდულ პრესაში, ეროვნულ არქივსა და მუზეუმში მოძიებული ინფორმაცია, მათ შორის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, **ა. ბოკუჩავას**, მონოგრაფია „პროფესორი კლიმენტი ბესარიონის-ძე ცომაია“, ასევე, რეპრესირებულ ექიმთა შესახებ **ავთანდილ ქურულის** წიგნი – „...და რომ გახსოვდეს“ – სრულად აღადგენს ინსტიტუტის მესამე რექტორის პორტრეტს და მის ტრაგიკულ აღსასრულს.

ბავშვობა

კლიმენტი ცომაია დაიბადა 1894 წლის 8 ოქტომბერს სენაკის მაზრის სოფელ კაპანაში. მამა, ბესარიონ ცომაია, გლეხკაცი გახლდათ, დედა, აღათი ღვამიჩავა – დიასახლისი. იგი კარგად ფლობდა ქართულ და რუსულ ენებს და იმ დროისთვის განათლებულ ქალად ითვლებოდა, სწორედ დედის მონდომებით, კლიმენტი ცომაიამ დაწყებითი განათლება მიიღო აბაშის ორკლასიან სასწავლებელში, 1911 წელს კი დაამთავრა ფოთის საქალაქო სასწავლებელი და, აფთიაქარის მოწაფის წოდების მისაღებად, სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, მუშაობა დაიწყო აბაშის აფთიაქში. ამ პერიოდიდანვე იგი გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით.

პოლიტიკაში აქტიურად ჩართვა და სტუდენტობა

კლიმენტი ცომაია 1915 წლიდან სამუშაოდ გადავიდა თბილისში. ამ პერიოდში იგი პოლიტიკურ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო; 1916 წელს, ფარმაცევტთა გაფიცვაში მონაწილეობისათვის, დააპატიმრეს და გადაასახლეს დონის როსტოვში. მოხდა ისე, რომ იგი მალევე დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო ისევ აფთიაქში. რეპრესირების მიუხედავად, კვლავ ჩაება აქტიურ რევოლუციურ საქმიანობაში. 1919 წელს კ. ცომაია ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1924 წელს (უნივერსიტეტის ექიმთა მე-3 გამოშვება). სტუდენტობის დროს, 1920 წელს გახდა კომუნისტური პარტიის წევრი და, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, აქტიურ მუშაობას ეწეოდა სტუდენტთა ორგანიზაციებში, ფარმაცევტთა და საექიმო პროფკავშირების რესპუბლიკურ ბიუროში. ამ დროს უკვე მენშევიკური მთავრობა აპატიმრებს მას, თუმცა მალევე ათავისუფლებენ. იგი რევოლუციურ საქმიანობას აგრძელებს უკვე არალეგალურად და არათუ მონაწილეობს გაფიცვებში, არამედ ხშირად ხელმძღვანელობს მას.

საპასუხისმგებლო თანამდებობები და სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორობა

აღსანიშნავია, რომ კლიმენტი ცომაია, ჯერ კიდევ სტუდენტი, 1921 წელს, დანიშნეს თბილისის სამაზრო რევკომში სასურსათო სამმართველოს კომისრის მოადგილედ; იმავე წელს აირჩიეს მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად, 1923 წელს კი დანიშნეს საქართველოში ახლად ჩამოყალიბებული საქდაზღვევის კომიტეტის თავმჯდომარედ. სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი დაინიშნა შინაგან სნეულებათა კლინიკაში ორდინატორად. უცხოეთში სამეცნიერო მივლინებიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ დანიშნეს ქალაქის პირველი საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ, შემდეგ – მთავარ ექიმად. 1934-1935 წლებში მუშაობდა საქართველოს ჯანდაცვის კომისრის პირველ მოადგილედ, 1936-1937 წლებში – სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორად. იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრის გამგე.

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში ინახება საქმეები, მათ შორის, იძებნება ოქმები „სახ. მედინსტიტუტის დირექციის სხდომისა“, სადაც კლიმენტი ცომაია, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი, ხელს აწერს ინსტიტუტისთვის მნიშვნელოვანი არაერთი საკითხის გადაწყვეტას, კერძოდ, დადგენილებებს ინფრასტრუქტურის მოწყობის, სამეცნიერო მუშაობის გეგმის დამტკიცების, სხვადასხვა ხარჯთაღრიცხვის, გარიცხულ სტუდენტთა ინსტიტუტში აღდგენის, ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის დანიშვნის, სასწავლო წლის შედეგების თუ ინსტიტუტში გამოცდების შესახებ.

საინტერესო იყო არქივში აღმოჩენილი „განმარტებითი ბარათი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მიღწევების და საჭიროების შესახებ (საქმე 38,1936 წ.)“, სადაც საუბარია ინსტიტუტში განხორციელებულ სამეცნიერო, პედაგოგიურ, აღმშენებლობით (ინფრასტრუქტურულ) მუშაობაზე. მიღწევებთან ერთად, ყურადღება ეთმობა პრობლემებსაც; მაგ: აღნიშნულია ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების სიმწირის და

ქალაქის პირველი საავადმყოფოს ერთ-ერთი შენობის საძირკვლის ჩაყრისას

მისი დაბეჭდვის აუცილებლობის, ასევე, სტუდენტებისთვის აუდიტორიების ნაკლებობის შესახებ, მედქალაქის მშენებლობის გაჭიანურების თვალსაზრისით არსებულ პრობლემებზე და ა. შ. დასასრულ, წარმოდგენილია პრაქტიკული წინადადებები ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით დიდი მონაკვეთი ეთმობა ინსტიტუტში სამეცნიერო კუთხით გაწეულ მუშაობას; კერძოდ, ნათქვამია, რომ „ინსტიტუტის 203 პროფესორ-მასწავლებელთა შორის 183, ე. ი. 90%-ზე მეტი, მეცნიერულად მომზადებულია ამ ინსტიტუტის კედლებში (კათედრებთან და კლინიკებში). თითქმის ყველა პროფესორი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ხოლო ყველა დოცენტი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია. ზოგიერთ დოცენტს და ასისტენტსაც კი დოქტორის ხარისხი აქვს და მთელ რიგ ასისტენტებს – კანდიდატის ხარისხი. აღსანიშნავია, რომ უმეტესობა მათგანს უმაღლესი განათლებაც სახმედინსტიტუტში აქვს მიღებული... სახმედინსტიტუტის მასწავლებელ-პროფესორების მიერ შექმნილია სახელმძღვანელოები (ნაწილობრივ ორიგინალური, ნაწილობრივ – ნათარგმნი) თითქმის ყველა სამედიცინო დარგში... ინსტიტუტის კათედრებსა და კლინიკებში შესრულდა მეცნიერული შრომები 3000-მდე, რომლებიც დაბეჭდილია ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე“. დაბოლოს, აღნიშნული დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „სახმედინსტიტუტი უმაღლესად კვალიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების უზრუნველყოფის მხრივ ტფილისის უმაღლესი სკოლების პირველ რიგში სდგას და ერთ-ერთი საუკეთესო უმაღლესი სკოლაა საბჭოთა კავშირში“.



დოკუმენტი კლიმენტი ცომაიას ხელმოწერით

კლინიკური და სამეცნიერო საქმიანობა

მიუხედავად საპასუხისმგებლო ხელმძღვანელ თანამდებობებზე დატვირთული მუშაობისა, კლიმენტი ცომაიას დიდი სურვილი იყო დაუფლებოდა ერთ რომელიმე კლინიკურ დარგს, კერძოდ, თერაპიას. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ცომაია დაინიშნა ორდინატორად შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალურ კლინიკაში (ხელმძღვანელი სპ. ვირსალაძე). თერაპიაში მუშაობის გარკვეული სტაჟის შემდეგ, კ. ცომაია სამეცნიერო მივლინებით გაემგზავრა საზღვარგარეთ (1927-29 წწ.), სადაც მუშაობდა ბერლინის, ვენის, ჰამბურგის ცნობილ კლინიკებში. დაბრუნების შემდეგ დაინიშნა თბილისის პირველი საავადმყოფოს ჯერ მთავარი ექიმის მოადგილედ, შემდეგ – მთავარ ექიმად. ამ პერიოდში თბილისის პირველ საავადმყოფოში გახსნილი იყო შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრა (ხელმძღვანელი პროფესორი შალვა მიქელაძე). ცომაიას სურვილი იყო სწორედ ამ კლინიკაში პროფესორი მიქელაძის ხელმძღვანელობით მუშაობა და, მართლაც, პირველი საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოვალეობასთან ერთად, იგი ყოველდღიურად დროს უთმობდა მისთვის სასურველ საქმეს. 1930 წელს მას აქ ასისტენტის მოვალეობის შესრულება დაეკისრა. ამ დროს კლინიკაში მუშაობდნენ: **გრიგოლ დიდებულიძე, ივსიხი ცინცაძე, ეკატერინე ნემსაძე, ნინო ალექსიძე, ივანე თვალავაძე, გრიგოლ ჩარექიშვილი** და სხვები, რომლებთანაც კლიმენტი ცომაიას არა მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობა, არამედ მეგობრობაც აკავშირებდა და დიდ სიყვარულს იმსახურებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა თერაპევტი, მეცნიერი და პედაგოგი. კლინიკაში მან, პროფესორ შალვა მიქელაძის ხელმძღვანელობით, 6 სამეცნიერო შრომა შეასრულა, ამიტომაც თავისი სადოქტორო დისერტაციის წინასიტყვაობაში განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს ძვირფას მასწავლებელს, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით დახელოვნდა, როგორც კლინიცისტი, მკვლევარი და პედაგოგი. 1932 წლიდან იგი უკვე დოცენტია.

1932-33 სასწავლო წელს პირველი საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ბაზაზე გაიხსნა პედიატრიული ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრა, რომლის ორგანიზატორი და გამგე იყო კლიმენტი ცომაია, რომელიც დაუღალავად შრომობდა და ზრუნავდა კლინიკის კეთილმოწყობაზე; მოიწვია ახალი თანამშრომლები და კლინიკაში მისი ძალისხმევით გაჩაღდა პედაგოგიური და მეცნიერული მუშაობა.

1935 წელს, სამეცნიერო შრომების მიხედვით, სამეცნიერო ხარისხის დაცვის გარეშე, საქართველოს სსრ ჯანსახკომის უმაღლესმა საკვალიფიკაციო კომისიამ, კ. ცომაიას მიანიჭა ჯერ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და იმავე წელს – პროფესორის წოდება. 1936 წელს კლიმენტი ცომაიამ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე – „ხანგრძლივი ხელოვნური პნევმოთორაქსის გავლენა სისხლის ცირკულაციაზე“. სადოქტორო შრომის კონსულტანტი იყო პროფესორი შალვა მიქელაძე, ექსპერიმენტული ნაწილი დაამუშავა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე აკადემიკოს ვ. ჟღენტის და პათოფიზიოლოგიის კათედრაზე – აკადემიკოს ვ. ვორონინის ხელმძღვანელობით. სათანადო მასალის შერჩევა-შეგროვებაში დიდი დახმარება გაუწია ტუბინსტიტუტის დირექტორმა, ცნობილმა ფთიზიატრმა, პროფესორმა ი. აბაკელიამ.

ჩვენამდე მოღწეული და ცნობილია კლიმენტი ცომაიას 20 სამეცნიერო ნაშრომი. შინაგანი მედიცინის ძირითად კლინიკურ საკითხებთან ერთად, მას განსაკუთრებით აინტერესებდა ტუბერკულოზის პრობლემა, ამიტომაც მისი სამეცნიერო შრომების უმრავლესობა ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს ეხება, მათ შორის: ფილტვის ტუბერკულოზის ქირურგიულ მკურნალობას, პნევმოთორაქსის სამკურნალო მოქმედებას ფილტვის ტუბერკულოზის დროს; საყურადღებოა მისი ნაშრომი – „ტუბერკულოზი, როგორც სოციალური დაავადება და მისი თანამედროვე გაგება“, ასევე, „ტუბერკულოზი ზემო სვანეთში“, სადაც მან დამაჯერებლად გააბათილა მოსაზრება, რომ ტუბერკულოზი ქალაქისთვის დამახასიათებელი დაავადებაა და არა – სოფლის და დასკვნების საფუძველზე დასახა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება სვანეთში დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებად კ. ცომაია მიიჩნევდა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობას. თანამშრომლებთან ერთად მან მეცნიერულად შეისწავლა დაავადებულთა ორგანიზმზე კურორტული ფაქტორების გავლენა. ამგვარი ხასიათის გამოკვლევა კურორტ აბასთუმანში პირველად კლიმენტი ცომაიამ ჩაატარა. კვლევის შედეგები სამეცნიერო შრომების სახით შეკრებილია წიგნში „კურორტი აბასთუმანი“. სხვა მეცნიერული შრომებიდან, რომელიც გამოქვეყნებული აქვს ცომაიას, საყურადღებოა „კალიუმის და კალციუმის ეტიოლოგიური მნიშვნელობის შესახებ ესენციალური ჰიპერტონიის დროს“.

ფაქტობრივად, მხოლოდ 12 წლის განმავლობაში, მან როგორც ექიმმა, მეცნიერმა, საზოგადო მოღვაწემ ბევრი მოასწრო და კიდევ ბევრის გაკეთებას შეძლებდა, რომ არა სისხლიანი 1937...

დაპატიმრებიდან ტრაგიკულ აღსასრულამდე

ბოლშევიკური რეჟიმის მრავალრიცხოვან მსხვერპლთა შორისაა კლიმენტი ცომაია. რეპრესირების, მისი ცხოვრების ამ ურთულესი პერიოდის, შესახებ მოთხრობილია ავთანდილ ქურხულის წიგნში – „...და რომ გახსოვდეს“. ავტორი არგუმენტირებულად, არქივებში ნანახი მასალების დამოწმებით და კ. ცომაიას თანამედროვეების, ახლობლების, ნაამბობის მიხედვით აღადგენს სრულ სურათს სამედიცინო ინსტიტუტის მესამე რექტორის დაპატიმრებიდან გარდაცვალებამდე. წიგნში არაერთი საინტერესო ინფორმაციაა იმდროინდელი ვითარების და თავად კლიმენტი ცომაიას შესახებაც, რასაც გაზეთის რამდენიმე გვერდიც ვერ დაიტევდა. ამიტომ ჩვენ მოკლედ, მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტების გადმოცემით, ვეცდებით გიამბოთ მისი ცხოვრების ამ ტრაგიზმით აღსავსე პერიოდზე...

კლიმენტი ცომაია დაუკავებიათ 1937 წლის ივლისში. მისი მეუღლის, ქეთევან ფხაკაძის შვილობილის, ლალი კანდელაკის, ნაამბობის მიხედვით, მას გამოუთქვამს ეჭვი: „უთუოდ შეცდომაა.. ადგილზე გავარკვევ და დავბრუნდები!“

ქალაქის პირველი საავადმყოფოს თანამშრომლებთან

დასასრული გვ 7-ზე

მესამე რექტორი – კლიმენტი ცომაია

დასაწყისი გვ 6-დან

მარცხნიდან მეხუთე – კლიმენტი ცომაია

როგორც ირკვევა, თავდაპირველად ის უარყოფდა ყოველგვარ ბრალდებას მის კონტრრევოლუციურ საქმიანობაზე და თავს დამნაშავედ არ თვლიდა. მისი ამ შინაარსის განცხადებაზე არის სასასტიკით ცნობილი „ჩეკისტის“, 1937-38 წლებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის, ბაღჩო ქობულოვის, რეზოლუცია, რომელიც მიმართავს ცომაიას საქმის გამომძიებელ ოვიანს: „დააწექით მაგრად და მიაღწიეთ აღიარებას!“ (09. 08. 37.) როგორც მოგვიანებით, 1955 წელს, შსს კომისარიატის მაღალჩინოსანმა ს. დავლიანიძემ განმარტა, ფრაზა – „დააწექით მაგრად“ – გულისხმობდა პატიმრის ცემას, მასზე ფიზიკურ ძალადობას. როგორც ჩანს, „დაწოლა“ ისეთი ძლიერი არ იყო, რადგან პატიმრის მიერ 1937 წლის 11 აგვისტოს ბერიას სახელზე გაგზავნილ განცხადებაში, იგი კვლავ არ თვლიდა თავს დამნაშავედ. ამ განცხადებაზე უკვე განრისხებული ქობულოვის მკაცრი რეზოლუციაა: „ოვიანო! ცომაიასთან მუშაობთ ცუდად. მომელაპარაკეთ!“. როგორც ჩანს, უფრო ძლიერი „დაწოლის“ შედეგად, სულ რაღაც ორ დღეში, 17 აგვისტოს, ცომაიამ „აღიარა“ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობა. გარდა ამისა, თითქოს აღიარა, რომ მისი დანაშაულებრივი მოქმედება მიმართული იყო სამედიცინო ქალაქის, როგორც „სამედიცინო კადრების სამჭედლოს“, მშენებლობის ჩასაშლელად და, თითქოს, მას შემდეგ, რაც თვითონ ცომაია ჩაითრიეს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, თავადაც ცდილობდა და ზოგჯერ ახერხებდა კიდეც ახალგაზრდა ექიმების და სტუდენტების „ჩათრევას“ მავნებლურ საქმიანობაში.

შემორჩენილია ანონიმური წერილი, რომლითაც ავტორი იტყობინება, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ზოგიერთი ექიმი ეწევა მავნებლურ საქმიანობას. წერილზე ქობულოვის რეზოლუციაა: „ამხანაგო ოვიან! შეამოწმეთ და დააწექით ცომაიას ექიმებში უცილობლად არსებული მავნებლური ორგანიზაციის გამოსავლენად“. ძიების დროს ცომაია 15-ჯერ იყო გამოძახებული დაკითხვაზე. საქმეში კი დაკითხვის მხოლოდ სამი ოქმია.

მეუღლესთან ერთად 1929 წელი

ცომაიას დაკითხვები გრძელდებოდა მის მიერ დანაშაულის აღიარების შემდეგაც, როგორც ჩანს, „მაგრად დაწოლით“, რადგან 1937 წლის 18 სექტემბერს დაკითხვაზე ცომაია ცუდად გახდა და ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა გადაეყვანა ციხის საავამყოფოში, სადაც 24 სექტემბერს გარდაიცვალა. ავადმყოფობის ისტორიაში იკითხება დიაგნოზი: „ჯირკვლების ანთება (ყბაყურა), მიოკარდიტი, კონტუზია“... მოგვიანებით, 1955 წელს დაკითხული ექიმების ჩვენებებით, ირკვევა, რომ ცომაია საავადმყოფოში მიიყვანეს მძიმედ ნაცემი, ძლიერი დისტროფიით, სხეულის ორი მესამედის დაჟეჟილობით; არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება და ძალიან უჭირდა პირის გაღება; „... მუცელი – მტკივნეული, კანი – ძლიერ ფერმკრთალი, გულის ტონები – მიყრუებული, პულსი – სუსტი ავსების („სუსის“ არქივი, საგამოძიებო საქმე N10, ტ. N3, გვ. 37-39)“.

ოჯახს მისი გარდაცვალების შესახებ არაფერი შეატყობინეს. მეუღლე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქეთევან ფხაკაძე, სიცოცხლის ბოლომდე ელოდა და არ კარგავდა იმედს...

რეაბილიტაცია და ღვაწლის აღიარება

პროფესორი კლიმენტი ცომაია რეაბილიტირებულია 1955 წელს. 1966 წელს მის ხსოვნას, დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით, მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო თერაპევტთა და ფთიზიატრთა სამეცნიერო საზოგადოების გაერთიანებული სხდომა. სხდომა გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ზ. კახიანმა.** მოხსენებებით და მოგონებებით წარდგნენ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები, პროფესორები: **ი. ცინცაძე, დ. იოსელიანი, პ. შუშანია, ა. ჯორბენაძე, გ. მათეშვილი, გ. კვიტაშვილი; პროფესორები: გ. ადამია, დ. სვანიძე;** კლიმენტი ცომაიას ახლო მეგობარი, მის შესახებ დაწერილი მონოგრაფიის ავტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი **ა. ბოკუჩავა**, დოცენტები: **პ. ცომაია** და **ვ. შუბლაძე**; რესპუბლიკის დამსახურებული ექიმები: **ლ. ბეჟანოვი, დ. იაშვილი** და **ი. თოფურია**. სხდომის მონაწილეებს გააცნეს აბაშის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ ქუჩას და საფერშლო-საბებიო პუნქტს, რომელიც ცომაიას მიერ რეგიონისთვის უსასყიდლოდ გადაცემულ სახლში იყო განთავსებული, ეწოდა პროფესორ კლიმენტი ცომაიას სახელი.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, კლიმენტი ცომაიას შესახებ, სტატიები და მოგონებები გამოქვეყნდა პერიოდულ გამოცემებში: გაზეთებში – **„კომუნისტი“, „Заря Востока“, „მედიცინის მუშაკი“ (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის გამოცემა), „განახლებული აბაშა“ (რეგიონული გამოცემა);** ასევე, **ჟურნალ „საბჭოთა მედიცინაში“.**

ავტორები – სახელოვანი მეცნიერები, მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლები, პროფესორები: **მ. შენგელია, დ. იოსელიანი, დ. იაშვილი,** ასევე, **პ. შუშანია** და **ა. კვალიაშვილი, ი. თოფურია** და **ვ. ცომაია** – უნივერსიტეტის მესამე რექტორს, პროფესორ კლიმენტი ცომაიას იხსენებენ და ახასიათებენ როგორც მაღალკვალიფიციურ ექიმს, მეცნიერს, ორგანიზატორს და არაჩვეულებრივ ადამიანს...

მეოთხე რექტორი – ივანე ეზიაშვილი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე რექტორი (დირექტორი), ივანე ეზიაშვილი, ამ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო მოვალეობას სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ასრულებდა (1937 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით). შესაძლოა ამიტომ ან იმიტომაც, რომ ეს იყო ურთულესი პერიოდი არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შევძელით მის მიერ განვლილი გზის შესახებ სრულად მოგვეთხრო მკითხველისთვის.

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივში (ფონდი 2139, ან.1, საქმე 65) ინახება 1937 წლით დათარიღებული დოკუმენტი – „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორთა დახასიათება (პოლიტიკური)“. საკმაოდ ვრცელ ტექსტში ვეცნობით 1937 წელს სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორების, დოცენტების, ასისტენტების სიას. მათ შორისაა – ეზიაშვილი ივანე ნიკოლოზის-ძე. მის დახასიათებას, როგორც სხვებისას, აქ ვერ ნახავთ, თუმცა, ცალკეულ პროფესორთა დახასიათებას, როგორც სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი, ხელს სწორედ ეზიაშვილი აწერს (დოკტ. მედ. ნაურ: Езиашвили).

ე. წ. დახასიათებების ტექსტი რუსულ ენაზეა შედგენილი და აქ შეხვდებით პროფესორების: იოსებ აბაკელიას, ნიკოლოზ ასპისოვის, ალექსანდრე ალადაშვილის, კონსტანტინე ერისთავის, გიორგი ვაწაძის (სამედიცინო ინსტიტუტის პირველი რექტორი), სიმონ ყიფშიძის, ილია ქოჩიაშვილის, ალექსანდრე მაჭავარიანის, შალვა მიქელაძის, ალექსანდრე ნათიშვილის, დავით იოსელიანის, მიხეილ წინამძღვრიშვილის, პლატონ შუშანიას, ილია ახმეტელის, დარია ბერეჟიანის, გრიგოლ დიდებულიძის, ალექსანდრე ლეჟავას, პეტრე სარაჯიშვილის, ლევან ანჯაფარიძის, ალექსანდრე ბაკურაძის, მიხეილ გიგინეიშვილის, გრიგოლ გვიშიანის და სხვათა „დახასიათებებს“. მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, ხშირ შემთხვევაში, მინიშნებულია მათი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ; ხან ნათქვამია, რომ „საზოგადოებრივ საქმიანობაში არ მონაწილეობს“, ან – „საჭიროა მისი პიროვნების შემდგომი შესწავლა“.


ХАРАКТЕРИСТИКА
ЗАВ.КАФЕДРОЙ РЕНТГЕНОЛОГИИ
НАЗАРИШВИЛИ ГЕОРГИ ПЕТРОВИЧ
Грузин 1903 г. рождения Окончил мед.факультет Московского Госуниверситета в 1915 г. Кандидат мед наук с 1950 г. Имеет 16 лет. педагог. Зав с 1950 по 24 г. в Горьком. Имеет 14 научных трудов. Необходимо дальнейшего изучения его личности.
Директор: (Зиаишвили)
Секретарь Нарцисова (Подписи)

დახასიათება, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი, ივანე ეზიაშვილი

ჩვენი ძიება პერიოდულ გამოცემებში გაგრძელდა, სადაც სულ რამდენჯერმე „გაკრთა“ ივანე ეზიაშვილის სახელი. 1937 წლის აგვისტოს ნომერში, მისი ავტორობით, წაიკითხავთ მცირე მოცულობის სტატიას – „როგორ შევხვდით გამოცდებს“, სადაც იგი, როგორც სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი, მიმოიხილავს გამოცდებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემას.

1933 წლის ჟურნალ „თანამედროვე მედიცინაში“ (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის გამოცემა; მოგვიანებით ეწოდა – „საბჭოთა მედიცინა“) გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომს – „ეკლამპსია კლინიკის მასალის მიხედვით“ და 1936 წელს გაზეთ „კომუნისტში“ განთავსებულ სტატიას – „უმტკივნეულო მშობიარობა“ ხელს აწერს ივ. ეზიეშვილი. გვარი „ეზიეშვილი“ (და არა ეზიაშვილი) გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ეს სულ სხვა პიროვნება იყოს, თუმცა კი „საბჭოთა მედიცინაში“ მითითებული ინიციალები – ი. ნ. – ემთხვევა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის სახელის და მამის სახელის ინიციალებს.


რეგორ მეეხვიით გამოცდებს
ვ. ეზიაშვილი

ივანე ეზიაშვილის სტატია გაზეთ „კომუნისტში“, 1937 წელი

სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე რექტორზე (დირექტორზე) ინფორმაციის მოძიების პროცესში აღმოვაჩინეთ 1937 წლის გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი მაშინდელი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის უნიკალური ფოტო მინაწერით, რომელიც ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ პირველი რექტორის, გიორგი ვაწაძის, მიერ საფუძველჩაყრილი საშვილიშვილო საქმე – სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა – გაგრძელდა ჯერ კლიმენტი ცომაიას და შემდეგ ივანე ეზიაშვილის რექტორობის პერიოდშიც.

1937 წლის გაზეთ „კომუნისტის“ სხვადასხვა ნომერში აღმოჩნდა რამდენიმე განცხადებაც, რომელსაც ივანე (ვანო) ეზიაშვილი ხელს აწერს (სახელის ან – „ვ“ ან –„ი“ ინიციალით), როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი.

საძიებო პერიოდი 1936-37 წლებს მოიცავდა და იმდროინდელი პრესის გაცნობა, მართლაც, დამთრგუნველი იყო სტატიების შინაარსის და პათოსის გათვალისწინებით: „გავანადგუროთ სამშობლოს მოღალატენი“, „სიკვდილი ხალხის მტრებს“, „გავსრისოთ ქვეწარმავალნი“, „ხალხის განაჩენი“... გაზეთ „კომუნისტის“ გვერდები ეთმობა „ბრალდებულების აღიარებას“ იმის შესახებ, თუ როგორ უღალატეს „მუშათა კლასს“ და ბოროტმოქმედებასა და „მავნებლურ საქმიანობაში“ ჩაერთნენ პარტიის და ხალხის წინააღმდეგ; შემაძრწუნებელია ზოგიერთი მათგანის თხოვნა – „სისხლით ჩამოირეცხოს სამშობლოს მოღალატის ლაქა და დანაშაული პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე“... მოსასმენადაც რთულია და ძნელად წარმოსადგენი, რა გადაიტანეს ადამიანებმა უსასასტიკი რეჟიმის პირობებში... შეუძლებელია არ გაგახსენდეს – **„ხანმა უნდობარმა გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“ /გალაკტიონი/.**

პირქუში ეპოქა და რეჟიმის დაუნდობლობა ადამიანურ სისუსტეებს თვალნათელს ხდის და მკაფიოდ წარმოაჩენს, ამავდროულად, როცა არჩევანი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის დგება, კიდევ უფრო თვალსაჩინო და დასაფასებელია სამოქალაქო გმირობის თუნდაც ერთეული შემთხვევა. სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე დირექტორზე ინფორმაციის ძიებისას ზნეობრივი გმირობის სწორედ ასეთ მაგალითად გამოანათა სამედიცინო ინსტიტუტში გამართულ შეკრებაზე წარმოთქმულმა პროფესორ **ალექსანდრე ალადაშვილის** სიტყვამ, რომელიც თითქმის უკვე ყველასგან „დაგმობილი“ და უარყოფილი საუკეთესო პროფესიონალის და პიროვნების – პროფესორ **შალვა მიქელაძის** დასაცავად წარმოთქვა, იმ შალვა მიქელაძის, რომელიც არა მხოლოდ რეჟიმის, არამედ საზოგადოების გულგრილობის და უსულგულობის მსხვერპლად იქცა, ისევე, როგორც არაერთი უსამართლოდ განწირული სიცოცხლე...

არ ვიცით და ვერ დავადგინეთ, სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე დირექტორი, რომელიც ზოგიერთი პროფესორის „პოლიტიკურად საეჭვოდ“ დახასიათებას აწერდა ხელს, შეეწირა თუ არა თავადაც უსასტიკეს რეპრესიებს, ან როგორ გაგრძელდა ინსტიტუტის დირექტორობის შემდეგ მისი ცხოვრება და პროფესიული საქმიანობა, თუმცა ასეთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე მუშაობა ადასტურებს მის გარკვეულ წვლილს სამედიცინო ინსტიტუტის განვითარებაში, რადგან მისი რექტორობის რამდენიმეთვიანი პერიოდი თავისთავად იქცა საქართველოში სამედიცინო განათლების და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიის განუყოფელ ნაწილად.


სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
აცხადებს, რომ ის სტუდენტები, რომელთაც 1936—37 სასწავლო წელში მიღებული ჰქონდათ აკადემიური შვებულება, ვალდებული არიან გამოცხადდნენ აღრიცხვაზე დირექციაში ა. წ. 20 აგვისტომდე. ვინც არ გამოცხადდება აღნიშნულ დროამდე, გაირიცხება ინსტიტუტიდან.
სახ. სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი
50 მედ. მეცნ. დოქტ. ვ. ეზიაშვილი,

განცხადება ივანე ეზიაშვილის ავტორობით

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ National Archives of Georgia
ᲛᲐᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲙᲕᲘᲠᲐ, 17 ᲘᲐ

სამედიცინო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის მშენებლობა

დოკუმენტური ფილმის – „აფხაზეთი მე ვარ“ – ჩვენება თსსუ-ში

ორგანიზაცია „თაობა 21 საქართველო“ ავტორი და განმახორციელებელია პროექტისა – **„აფხაზეთი მე ვარ“.** პროექტის ფარგლებში გადაღებულია 7 დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი და უკვე გამოქვეყნდა ამავე სახელწოდების წიგნი, რომელშიც თავმოყრილია 73 მეომრის ისტორია.

ჯერ კიდევ მაისში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ორგანიზაცია „თაობა 21 საქართველოს“ მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმის – ,,აფხაზეთი მე ვარ“ – მე-6 ნაწილის ჩვენებას უმასპინძლა, რომელიც ომის მონაწილე ექიმების, მათი პროფესიული გმირობის შესახებ გვიამბობდა. ახლახან კი თსსუ-ში ფილმის მე-7 ნაწილის ჩვენება გაიმართა, რომელიც მიეძღვნა პროექტის ავტორის, **შორენა ჯავაშვილის,** ხსოვნას.

ფილმი მოგვითხრობს აფხაზეთის ომის შედეგად იძულებით გაგაადგილებულებზე, რომლებმაც, უმძიმესი ტრაგედიის მიუხედავად, ცხოვრების თავიდან დაწყება შეძლეს და წარმატებული ადამიანები გახდნენ. მიუხედავად განვლილი განსაცდელისა, მათ სჯერათ რომ აუცილებლად მშვიდობიანად დაბრუნდებიან აფხაზეთში.

ფილმის ჩვენებას ესწრებოდნენ თსსუ-ის რექტორი, პროფესორი **ირაკლი ნატროშვილი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, აფხაზეთის მთავრობა.**

ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა ახლად შექმნილი ორგანიზაციის – **„მშვიდობის ელჩები – მომავალი თაობა“** – პრეზენტაცია. ორგანიზაცია, რომელიც პროექტის – ,,აფხაზეთი მე ვარ“ მხარდასაჭერად შეიქმნა, აერთიანებს სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანებს. თსსუ-ში გამართული ღონისძიების ფარგლებში, ორგანიზაციამ პროექტის განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის საპატიო მშვიდობის ელჩის სიგელები გადასცა:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინი უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **ირაკლი ნატროშვილს;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრს, **დავით ფაცაციას**;

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, **დავით ნარმანიას**;

ჯანმრთელობის სახლის სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტის უფროსს, რეკონსტრუქციულ ქირურგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ასოცირებულ პროფესორ **ირაკლი პაპასკუას**.

TSMU.EDU

ცხოვრების ანარეკლი ერთ წიგნად



შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული ადამიანები საქართველოში მრავლად არიან, მათ შორის ისეთებიც, საკუთარი ნააზრევის პოეტურ სტრიქონებად გაცოცხლება უკვე ცხოვრების წესად რომ უქცევიათ. ერთი მათგანია მრავალმხრივი ინტერესით გამორჩეული იუზა ადეიშვილი, რომლის საქმიანობაც ჩვენს უნივერსიტეტში აგერ უკვე 18 წელს ითვლის. როგორც თავად გვითხრა, რამდენიმე პროფესიას დაეუფლა – არის ინჟინერი, ეკონომისტი, პოლიტოლოგი. ამჟამად ეკონომიკური პროცესების მართვის პროფილით საქმიანობს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის განყოფილების უფროსია. პარალელურად, მნიშვნელოვან დროს უთმობს შემოქმედებასაც, რომლის საჯაროდ გამოტანა ადრე არასოდეს უფიქრია, თუმცა მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეულმა დიდმა სულიერმა ტკივილმა საბოლოოდ დააკავშირა ლექსის და, საზოგადოდ, ქართული სიტყვის სიყვარულთან, შედეგად კი უკვე 8 წიგნის ავტორია.

აღსანიშნავია, რომ გარდა ლიტერატურული საქმიანობისა, ბატონი იუზა ადეიშვილი გახლავთ საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და ეკოლოგიურ საკითხებზე გამოცემული სამი წიგნის თანაავტორი.

დიდი ხანი არ არის, რაც ბატონი იუზა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი გახდა და 2025 წელს საკუთარი საიუბილეო თარიღი –75 წელი – ახალი წიგნის გამოცემით აღნიშნა. „ანარეკლები“, – ასეთია სახელწოდება წიგნისა, რომლის წინასიტყვაობაში რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მწერალი რევაზ მიშველაძე აღნიშნავს: „უანრულად მრავალფეროვანი ეს წიგნი – „ანარეკლები“ – იუზა ადეიშვილის მრავალწლიანი, თანმიმდევრული ლიტერატურული გარჯის შედეგია. რაც მთავარია, წიგნში ფეთქავს სამშობლოზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ღრმად ჩაფიქრებული სიყვარულით აღსავსე პოეტის გული“... აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ კრებულისთვის, მწერალთა კავშირისგან, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მას ირაკლი აბაშიძის სახელობის პრემია გადაეცა.



„ანარეკლებში“, პოეტურ კრებულთან ერთად, თავმოყრილია სხვადასხვა დროს ავტორის სხვადასხვა საკითხზე ნაფიქრ-ნააზრევი. ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს მისი შემოქმედების ღრმა ანალიზი და არც ავტორს აქვს პრეტენზია სათქმელის მაღალპოეტურ გამოხატვასა თუ მეტაფორული აზროვნებით გადმოცემაზე, თუმცა კი, როგორც წიგნის წინასიტყვაობის ავტორი ბრძანებს, შემოქმედის ფიქრი სამშობლოს დასტრიალებს და მოყვასის სიყვარულითაა გამსჭვალული. ავტორისთვის, როგორც თავად აღნიშნავს, – „ყველა ლექსი, მონოლოგი, პროზაული ჩანახატი, სტრიქონი, ფრაზა, სტროფი... ერთნაირად ძვირფასი და საყვარელია“...



აღსანიშნავია, რომ იუზა ადეიშვილის შემოქმედებასა და ცხოვრებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სარწმუნოებას, ფიქრს ღმერთზე, რწმენის აუცილებლობაზე... ქრისტიანობის სიყვარულმა მისცა ძალა და შესაძლებლობა წლების წინ, მეგობართან, ელგუჯა ადეიშვილთან, ერთად, მშობლიურ სოფელ ყუმურში, ეკლესიის მშენებლობისთვის ჩაეყარა საფუძველი და დღეს უკვე სოფლის მცხოვრებთ შესაძლებლობა აქვთ, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში დაესწრონ წირვა-ლოცვას.

„მხნედ შემართული მივუყვები ცხოვრების აღმართს, ბევრ ციცაბოზეც გამატარა ბევრჯერ უფალმა“, – ამბობს იგი, თუმცა სჯერა, რომ დაბრკოლება და განსაცდელიც უფლის დაშვებით მოდის, ადამიანური თანადგომა კი ასეთ დროს ყველაზე მნიშვნელოვანია. ოჯახზე საუბრისას აღნიშნავს: „უამრავი ცხოვრებისეული სირთულე და წინააღმდეგობა შეგვხდა, ღმერთის დახმარებით და ერთმანეთის გვერდით დგომით ყველაფერი გადავლახეთ და ვცხოვრობთ ერთი მიზნით – რაც შეიძლება მეტი სიკეთე და სიყვარული ვაჩუქოთ ერთმანეთს. ეს ჩემს ლექსებშიც კარგად ჩანს“...

როგორც ბატონი იუზა ამბობს, პროფესიონალისთვის დიდი პატივია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი ოჯახის წევრობა: „მახარებს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი თავისი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი მიღწევებით და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებით ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში მოწინავეთა რიგებშია; აღსანიშნავია, რომ პროფესიული თუ შემოქმედებითი საქმიანობისთვის აქ ყველა პირობაა შექმნილი, რაც უნივერსიტეტის ისტორიული განვითარების მანძილზე არაერთი თაობის ერთობლივი შრომის, ასევე – ამჟამინდელი ხელმძღვანელობის მიზანზე ორიენტირებული მუშაობის შედეგია“.

ცხოვრება სწრაფად გარბის, უკან მოიხედავ და... 75 წელიც გალეულა! ამ ასაკის გადმოსახედიდან ბევრი აქვს საამაყო: ამაყობს ქართველობით, უნივერსიტეტელობით, ოჯახით, მეგობრებით, შემოქმედებით, გვარიშვილობით, განვლილი გზით...

ცხადია, კიდევ ბევრი კეთილი საქმე აქვს გასაკეთებელი, რაშიც, ვფიქრობთ, ჩვეული შემართება, შრომისმოყვარეობა და სიყვარულის ის უნარი დაეხმარება, ერთგვარ რეფრენად რომ გასდევს მის ცხოვრებას და შემოქმედებას. აკი ამბობს ერთგან: „სიყვარულია ამ ცხოვრების თავი და ბოლო“...

ვულოცავთ საიუბილეო თარიღს ბატონ იუზას – ჯანმრთელობას და კიდევ ბევრ წარმატებას ვუსურვებთ.

ნატო ბოლქვაძე

თსსუ-ის თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების წევრები სამედიცინო განათლების საერთაშორისო კონფერენციაზე

2025 წლის 30-31 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამართულ სამედიცინო განათლების საერთაშორისო კონფერენციაში აქტიურად მონაწილეობდნენ თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრები. **ივლიანე სურმავამ, ბაჩანა აფციაურმა** და **ნათია ცერცვაძემ** წარმოადგინეს პოსტერული მოხსენებები შემდეგ თემებზე:

„სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კარიერული მოლოდინები და რეალობა საქართველოში“ (Career Expectations and Realities among Medical University Graduates in Georgia);

„უსაფრთხო პრაქტიკა — რამდენად არიან მზად ინფექციის კონტროლისა და ექსპოზიციის შემთხვევებისთვის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები“ (Safe Practice – Are Medical Students and Graduates Prepared for Infection Control and Exposure Incidents);

„სამედიცინო განათლების გაძლიერება თანატოლთა სწავლებისა და სიმულაციური სწავლების გზით“ (Enhancing Medical Education through Peer Teaching and Simulation);

აღსანიშნავია, რომ ივლიანე სურმავას მოხსენებამ — „სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კარიერული მოლოდინები და რეალობა საქართველოში“ — განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია და „აუდიტორიის რჩეული მოხსენების“ წოდება დაიმსახურა.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
კოორდინატორები: ზაჰეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu